საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION

+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-749
13/03/2023

749-გ-2-202303131241

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის
უფროსს ქალბატონ ვენერა მეტრეველს

ქალბატონო ვენერა,

შპს ,,საქართველოს მელიორაციამ“ (შემდგომში კომპანია) განიხილა თქვენი 2023 წლის 21 თებერვლის N21/1123 წერილი და მასზე თანდართული კორესპონდენცია, რომელიც ეხება შპს „ქარქა ჰოლდინგის“ მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატახტარში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.03.22.628) ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობასა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის საზღვრებში მოქცეულია კომპანიის კაპიტალში რიცხული, რეგისტრირებული ლამი-მისაქციელის მაგისტრალური არხის გ-1 გამანაწილებელი (ს/კ 72.00.610), რომლის გასხვისების ზოლები, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003 წლის „სამელიორაციო სისიტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენაგასხვისების სამშენებლო ნორმების დამტკიცების შესახებ“ N19 ბრძანების შესაბამისად შეადგენს არხის ბერმიდან ორივე მხარეს 4-4 მეტრს საექსპლუატაციო გზის ჩათვლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემდგომში მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.03.22.628) რაიმე სახის მშენებლობის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს გასხვისების ზოლების დაცულობა. ასევე დაცული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 31.12.2013წ. N409 და N440 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ხელი არ შეეშალოს სამელიორაციო სისტემის გამართულ ტექნიკურ ექსპლუატაციას. აღნიშნული შეზღუდვა ასახული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (დატვირთული იქნას სერვიტუტით).

ამასთან, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების სამელიორაციო სისტემაში ჩაშვება კატეგორიულად დაუშვებელია.

პატივისცემით,

გიორგი ხუბუა

ექსპლუატაციის დირექტორი